მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურსა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს შორის

ქ. თბილისი „13“ „ოქტომბერი“ 2014 წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის ირაკლი გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (შემდგომში - ინსპექტორის აპარატი), წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თამარ ქალდანის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი მხარეებად, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ამ მემორანდუმის ფარგლებში, ინსპექტორის აპარატი უფლებამოსილია, შემოსავლების სამსახურისგან პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით მოითხოვოს საჯარო ორგანიზაციის (შემდგომში - ორგანიზაცია) შესახებ ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფაილურ სისტემათა კატალოგების რეესტრის წარმოების მიზნით.
2. ინსპექტორის აპარატის შესაბამის მოთხოვნაში უნდა დაფიქსირდეს იმ ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი, რომლის შესახებაც იგი ითხოვს ინფორმაციას.
3. შემოსავლების სამსახური კისრულობს ვალდებულებას, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, ინსპექტორის აპარატს მიაწოდოს მოთხოვნაში დაფიქსირებულ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში რეგისტრირებული ინფორმაცია, კერძოდ:

   ა) ორგანიზაციის დასახელება;

   ბ) ორგანიზაციის იურიდიული მისამართი;

   გ) ორგანიზაციის ტელეფონი;

   დ) ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი.
4. ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება შემოსავლების სამსახურის სერვისის საშუალებით.
5. ამ მემორანდუმში ცვლილება განხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების გზით.
6. ამ მემორანდუმის თითოეული მხარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მემორანდუმი, შეწყვეტის თარიღამდე მინიმუმ 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე მემორანდუმის მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

7. ამ მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.
8. ამ მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
9. ეს მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.
10. ეს მემორანდუმი დადებულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შემოსავლების სამსახური	**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი**
სსიპ – შემოსავლების სამსახური ქ. თბილისი, 0114, ვ. გორგასლის N16 საიდენტიფიკაციო კოდი N204525585	ქ.თბილისი, ინგოროყვას ქ.7 საიდენტიფიკაციო კოდი N205305515
ირაკლი ბვარამაძე შემოსავლების სამსახურის უფროსი	თამარ ქალდანი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი